განმარტებითი ბარათი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა). ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით სკოლის დირექტორს ირჩევს სამეურვეო საბჭო, რომელიც დირექტორს უფორმებს შრომით ხელშეკრულებას; აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში, დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოს წინაშე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დისკრეციული უფლებამოსილებით დირექტორის დანიშვნა მთლიანად უგულებელყოფს დირექტორის არერთპიროვნული უფლებამოსილებით დანიშვნასა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სკოლის ხელმძღვანელობის არჩევის პროცესში. გარდა ამისა, სამეურვეო საბჭოს ნების საწინააღმდეგოდ, სკოლის დირექტორის პირდაპირი დანიშვნით, უგულებელყოფილია კანონმდებლობით დადგენილი მთელი რიგი ანგარიშვალდებულებები სამურვეო საბჭოსთან მიმართებაში, ასევე, სკოლასა და დირექტორს შორის შრომითი ურთიერთობების წარმოშობის საფუძვლები. აღნიშნული პრაქტიკის მანკიერება აისახა 2014 წლის დირექტორობის მსურველთა კონკურის შედეგებით საქართველოს სკოლების დაახლოებით 70%-თან მიმართებაში, როცა სკოლებში ასარჩევად წარდგენილი **ერთი** კანდიდატი სამეურვეო საბჭოებმა არ აირჩიეს, დაიწუნეს რა მათი ხედვა და გეგმები სკოლების განვითარებასთან დაკავშირებით, თუმცა იგივე კანდიდატები დირექტორად დანიშნა მინისტრმა დისკრეციული უფლების გამოყენებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

შემოთავაზებული ცვლილების მიზანია საჯარო სკოლების დირექტორთა არჩევის პროცესი შესაბამისობაში მოვიდეს ზოგადი განათლების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებთან და ხელი შეუწყოს საჯარო სკოლებში დემოკრატიული პროცესების განვითარებას, კონკურენტუნარიანი გარემოს შექნას, ზოგადსაგანმანთლებლო სისტემის დეცენტრალიზაციის და სკოლების ავტონომიის პრინციპების გამყარებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად, სკოლის დირექტორის არარჩევის/ვერარჩევის შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ენიჭება უფლებამოსილება დანიშნოს არა დირექტორი, არამედ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რაც, ერთის მხრივ, მეტ სამართლებრივ ლეგიტიმაციას შესძენს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლისა და სამეურვეო საბჭოს ურთიერთთანამშრომლობას, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს შეუწყობს სკოლების ავტონომიურობის შენარჩუნებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

არ იწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

არ აუარესებს ფინანსურ მდგომარეობას.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს. კანონპროექტის განხილვა იგეგმება ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისა და ექსპერტების მონაწილეობით.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრი - სერგო რატიანი